დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს თბილისის ქართულ ამერიკული სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო მუმლაძე

წევრები:

მაკა კანდელაკი-ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
როლანდი ხოჯანაშვილი- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ფსუტური-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ქურთიაშვილი-თაბორიძე- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თაია მამარდაშვილი- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიო გელაშვილი- ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
გიორგი ჩაჩუა- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნათია ბრეგაძე-დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	406404939

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	სამგორის რაიონი, შუამთის ქუჩა N21
ფაქტობრივი მისამართი	სამგორის რაიონი, შუამთის ქუჩა N21
საფოსტო ინდექსი	0182
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.gast.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@gast.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	+995 577 240572

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 23 0000848950
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	3 და 4 აგვისტო 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	**თბილისი, სამგორის რაიონი, შუამთის ქუჩა N21**

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	**თბილისი, სამგორის რაიონი, შუამთის ქუჩა N21**
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	**თბილისი, სამგორის რაიონი, შუამთის ქუჩა N21**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

შპს ქართულ- ამერიკულ სკოლაში შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაცია.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას.
ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა სკოლის დამფუძნებლებს, ადმინისტრაციულ პერსონალს და სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი დადამატებითი დოკუმენტაცია.
საგნობრივ ექსპერტებს დღის წესრიგის მიხედვით საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.
ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.ექსპერტებს სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის, ადმინისტარციასთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლის ფილოსოფია, კურიკულუმი , სამომავლო გეგმები და იდეები, ქმნის ბაზას მომავალში სკოლის საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარებისთვის.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 504	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის*	*1.სკოლას მიეცა რეკომენდაცია წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრ დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველად დახმარების აღმოჩენას;	*შესაბამისად მსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. 2023 წლის 22 სექტემბრამდე* *2.სკოლამ წარმოადგინოს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.2023 წლის 22 სექტემბრამდე* *3.სკოლამ წარმოადგინოს შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნა. 2023 წლის 22 სექტემბრამდე*
3.5.1.2	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;*	*სკოლამ უზრუნველყოს მთლიანი შენობა- ნაგებობების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების დასრულება, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გეგმა გრაფიკისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად 2023 წლის 10 სექტემბრამდე.*
3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიე დადგენილი წესის შესაბამისად.*	*სკოლამ მოაწყოს შესაბამისი ტექნოლოგიური სივრცეები 2023 წლის 10 სექტემბრამდე შესაბამისობის გეგმის თანახმად.*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი ...		.....
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო)	*რჩევა*
ინდიკატორი *N2.1.2.2.*	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	***დაწყებითი საფეხური ხელოვნება****-1.სასურველია ყველა თემატურ ბლოკში მუშავდებოდეს დაწყებით საფეხურზე სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება .* *2. დაწყებით საფეხურზე თემატური ბლოკები სტანდარტით განსაზღვრულია, ამიტომ სასურველია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები მუშავდებოდეს თემატური ბლოკის ფარგლებში.*

		საბაზო საფეხური მუსიკა- *სასურველია საბაზო საფეხურზე ყველა თემაში მუშავდებოდეს სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება.* *მეცხრე კლასში კურიკულუმით განსაზღვრული კომპექსური დავალებების რაოდენობა გადასახედია, საათობრივი ბადით მასწავლებელს გაუჭირდება ამ რაოდენობის კომპექსური დავალების განხორციელება.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

- რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ (3.4.1.1; 3.5.1.2; 3.6.1.2.), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**შპს თბილისის ქართულ- ამერიკული სკოლის მისიაა:** მოსწავლეებისთვის სწავლისადმი, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე განგრძობადი პროცესისადმი, ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება და 21-ე საუკუნეში წარმატებისა და პასუხისმგებლიანი მოქალაქეობისთვის საჭირო უნარებით აღჭურვა.

ხედვა-თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა 2030 წელს იქნება საქართველოსა და რეგიონში წამყვანი და სწრაფად მზარდი სკოლა, რომელშიც საგანმანათლებლო პროცესი ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფილია გარემო, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებაზე.

ორგანიზაციის ღირებულებებია:

ავტონომიურობა, პატივისცემა, კეთილსინდისიერება, ზრუნვა, პასუხისმგებლიანობა, თანაბარი შესაძლებლობები, გუნდურობა, განვითარებაზე ორიენტირებულობა.

წარმოდგენილი ხედვა მოკლეა, ერთ წინადადებაშია თავმოყრილი და სავსებით გასაგებია ნებისმიერი მკითხველისთვის, განურჩევლად იმისა, იცნობს თუ არა სკოლის სპეციფიკას. უზრუნველყოფს სრულიად მკაფიო, ნათელი სურათის შექმნას, როგორი იქნება კონკრეტულ პერიოდში ეს სკოლა. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადი განათლების ისეთ მიზნებს, როგორიცაა: მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც, სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მისიით და ხედვით, სკოლა უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცეა. სკოლა აღნიშნულს უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევით, სკოლის შიდა რეგულაციებით, სასკოლო სასწავლო გეგმით და სასკოლო ღონისძიებების მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის“ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, გაწერილია მისიის, ხედვის და ღირებულების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები. სკოლის მისიის, ხედვის და სტრატეგიული მიზნების, ასევე, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის პროცესში მენეჯერთა საბჭო ეყრდნობა სკოლაში განხორციელებული კვლევების შედეგად გამოკვეთილ გარემოებებს. საბჭო ასევე აპირებს დამატებით დაგეგმოს საინფორმაციო შეხვედრები, მოაწყოს ჯგუფური დისკუსიები სკოლის პერსონალის, მოსწავლეების და მშობლების მონაწილეობით.

სკოლის მისიის, ხედვის და სტრატეგიული მიზნების განსაზღვრის მიზნით, საბჭო ასევე შეისწავლის თბილისის მოსახლეობის მოთხოვნებს სკოლის სერვისებზე. ვინაიდან ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს მოსწავლე, დოკუმენტები შემუშავებულია,მხოლოდ დასაქმებული პერსონალის ჩართულობით, თუმცა სკოლა თვლის,რომ გუნდის სრულად ფორმირების შემდეგ უკეთ არის შესაძლებელი სკოლის რესურსების და შესაძლებლობების შეფასება და გეგმავს, სასწავლო პროცესის დაწყებამდე შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს შენიშვნებს და მოსაზრებებს, რაც შესაძლოა, საფუძვლად დაედოს დოკუმენტის ცვლილებას. ამ გზით, უკეთ იქნება უზრუნველყოფილი სასკოლო საზოგადოების მისწრაფებების და ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა გეგმავს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და ასევე პერსონალის სამუშაოზე მიღების პროცესში სკოლის მისიის, ხედვის და სტრატეგიული განვითარების გეგმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობას.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლის მენეჯერთა საბჭო უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის სკოლის მისიის და ხედვის გაზიარებას. სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი ამოცანაა სკოლის პერსონალის ჩართულობით სამუშაო ჯგუფების ორგანიზება,სასკოლო დოკუმენტაციის გაზიარების, რეკომენდაციის მიღების და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანის მიზნით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა და განთავსებულია სკოლის გვერდზე www.gast.edu.ge **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

სკოლის სახელწოდება „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვებ გვერდი www.gast.edu.ge
- შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის“ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030)
- სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს და ეტაპებს.დოკუმენტის მე-3 მუხლია პროცესში ჩართული მხარეები, სადაც ნათლად ჩანს, რომ სკოლა გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.ამასთან,გარდამავალი დებულების შესაბამისად მენეჯერთა საბჭო ვალდებულია, სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ მიიღოს ზომები დოკუმენტების სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის გასაცნობად და განიხილოს მათი წინადადებები ცვლილებების შესახებ.სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიად გამოყენებულია ე.წ. SWOT ანალიზის მეთოდი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია.სკოლის განვითარების სტრატეგია აერთიანებს ხუთ სტრატეგიულ მიზანს:

- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;

- ორგანიზაციული პროცესების ეფექტური ფუნქციონირება
- ადამიანური რესურსის განვითარება
- სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება
- მოსწავლის მხარდაჭერის სერვისის განვითარება

სტრატეგიული მიზნები მისიასთან და ხედვასთან თავსებადია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,რომელიც შეიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს და განხორციელების ვადებს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას განსაზღვავს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით, სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე. ვინაიდან, სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე ყოველწლიურ თვითშფასებას ვერ წარმოადგენს, მაგრამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად , უნდა განხორციელდეს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგების გამოყენება.ი**ნდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია სამი ძირითადი მიმართულება, ა) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, ბ) ორგანიზაციული პროცესების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და გ) სკოლის ადამიანური რესურსის განვითარება. სკოლის სტრატეგიული გეგმაში მოცემულია ხუთი სტრატეგიული მიზანი,მაგრამ პირველ წელს ბოლო ორის შემთხვევაში ფუნდამენტური არაფერი იგეგმება, შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში პირველი სამი მიზნის შესატყვისად არის აქტივობები გათვალისწინებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანები ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად. მითითებულია შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები და დაფინანსების წყარო.მაგალითისთვის, ამოცანა „სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება“ მოიცავს: სკოლის პერსონალის განვითარების დადგენას და გამოკვეთილი საჭიროების შესაბამისად ტრენინგების/ ვორქშოფების ორგანიზებას.სამოქმედო გეგმაში 2024 წლის

გაზაფხულიდან სკოლა აპირებს :"ეროვნული სასწავლო გეგმით" გათვალისწინებული მესამე მოდელის საათობრივი ბადის დანერგვას, შესაბამისად სამოქმედო გეგმის ამოცანებში გაწერილია საათობრივი ბადის მესამე მოდელის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმება.სამოქმედო გეგმის განხილვის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა განხორციელებაც რეალისტურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის" სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030)
- სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. (მუხლი 5)როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა მონიტორინგში მოიაზრებს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმებას. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადებას სკოლის მენეჯერთა საბჭო აფასებს საშუალო პერიოდის (6 თვე) გასვლის შემდეგ, ასევე, შესაბამისი ერთწლიანი პერიოდის დასრულებისას და შეიმუშავებს შემაჯამებელ ანგარიშს.

სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების მონიტორინგს და შეფასებას საბჭო ახორციელებს საშუალო პერიოდის (3 წელი) გასვლის შემდეგ .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას,სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ჯერ განხორციელებული არ არის, ამასთან, შესაბამისი მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროცესებში სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას.

3. სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების ანგარიშებს განათავსებს სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.gast.edu.ge

4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს, რომლის საფუძველზე დგინდება ერთწლიანი და შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგები, რომელსაც სკოლა გამოიყენებს ახალი, სტრატეგიული და სამოქმედი გეგმის შედგენის პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის“ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030)
- სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლას შემუშავებული აქვს საქმიანობის მომწესრიგებელი შიდა სასკოლო დოკუმენტაცია ,კერძოდ : სკოლის დებულება, სტრუქტურული ერთეულის დებულებები,სასწავლო პროცესის მარეგულირიებელი დოკუმენტი,სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება მოსილება და კონკრეტული სფეროები.

სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: მენეჯერთა საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს, კლუბების კოორდინატორებს და სკოლის პერსონალს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი სკოლის დოკუმენტი (ფუნქციების განაწილება), რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები, ანგარიშგება და შესრულების შეფასება.
სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ხარისხის მართვისა მენეჯერებისგან და ბუღალტრისგან.
ადმინისტრაციაში შედის - ადმინისტრაციული მენეჯერი,იურისტი, საინფორმაციო მენეჯერი,ფსიქოლოგი, სამეურნეო მენეჯერი,დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, დასუფთავების სპეციალისტი, 1 დამლაგებელი, 3 დაცვის თანამშრომელი, 1 მებაღე, 3 მზარეული.
პედაგოგიური პერსონალი შედგება - 20 მასწავლებლისაგან; 5 უსტატუსო, 1 წამყვანი დანარჩენი უფროსი.
სკოლაში ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს კათედრები, თუმცა სკოლას ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ყავდა ყველა საგნის მასწავლებელი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კათედრის დებულება, რომელშიც გაწერილია კათედრების მოწყობა, განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები და საქმიანობის წესი. შპს ქართულ-ამერიკულ სკოლას შემუშავებული აქვს საქმიანობის მომწესრიგებელი შიდა სასკოლო დოკუმენტაცია,კერძოდ:სკოლის დებულება, სტრუქტურული ერთეულის დებულებები,სასწავლო პროცესის მარეგულირიებელი დოკუმენტი.მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება მოსილება და კონკრეტული სფეროები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2.სკოლის ყველა თანამშრომლის, მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, ფუნქციების განაწილებით და შინაგანაწესით.სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილებით უზრუნველყოფილია მოქმედი საკანონმდებლო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალსიწინებული მოთხოვნების შესრულება. სკოლის შიდა რეგულაციებში აღწერილი პროცესები ითვალისწინებს სკოლის თითოეული თანამშრომლის/ორგანოს მიერ შესრულებულ ვალდებულებებს და ამოცანებს პროცესებში. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის დაწყებამდე თითოეულ თანამშრომელს გააცნოს/გაუზიაროს დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები და მათი ჩართულობით საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს

ცვლილებები და დააზუსტოს გარკვეული პირობები,იმისათვის რომ სკოლის თითოეული თანამშრომლისთვის იყოს მკაფიო ინსტრუქციები და სკოლის საჭიროებებზე მორგებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის პარტნიორთა შეთანხმება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის მენეჯერთა საბჭოს დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის კათედრის დებულება;
- თბილისის ქართულ- ამერიკული სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თბილისის ქართულ-ამერიკული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის სტრუქტურა;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის პროფესიული მხარდაჭერისა და ხარისხის განვითრების ჯგუფის დებულება;

3. 1. 2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. დაწესებულებას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი .

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ფორმა,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ბრძანება N01-15/ნ შესბამისად, სკოლა აწარმოებს სამუშაო დროის აღწერის ფორმას.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. (საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“, საქართველოს ორგანულ კანონს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“ ა.შ., ასევე, სკოლის პერსონალის შერჩევასთან, საქმიანობის შეფასებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან დადგენილ რეგულაციებს, „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მიხედვით საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პრინციპებს).**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში დასაქმების ეტაპზე, გარდა განათლებისა და სამუშაო გამოცდილებისა, ყურადღება ექცევა პერსონალურ თვისებებს. გათვალისწინებულია კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები სკოლაში დასაქმების მსურველთათვის (ნასამართლობა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის). ასევე შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც ადგენს გადაცდომის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკის ნაწილია, ასევე, პერსონალის შრომითი კმაყოფილების მართვა, რისთვისაც პერიოდულად სკოლა სათანადო ინსტრუმენტების გამოყენებით ჩაატარებს თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია:

ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პოლიტიკა , სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს სკოლაში პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში შემუშავებულია თითოეული პოზიციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობების შესაბამისად, ამასთან, დადგენილია თანამდებობებზე აყვანის პროცედურები როგორც ადმინისტრაციული, ისე მასწავლებლის თანამდებობის დაკავებისათვის.შპს ქართულია-ამერიკული სკოლის მიერ განსაზღვრულია თანამდებობებზე (როგორც ადმინისტრაციული, ისე პედაგოგების) აყვანის პროცედურები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებთან. მათ შორის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.დაწესებულებას სკოლის ექიმი აყვანილი ყავს შესაბამისი სახელმწიფო რეგულაციების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.დაწესებულებამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები, სადაც თითოეულ თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა.(2020 წლის 23 ივლისი საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებები ვალდებული არიან, პირს დაწესებულებაში დასაქმებამდე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, მოსთხოვონ სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლების ჩამორთმევის შესახებ ასევე ნასამართლეობის შესახებ ცნობა.(„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1^2 პუნქტის მიხედვით, მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შპს თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და სკოლაში დასაქმებულ პირებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ , სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს და გადაწყვეტილების მიღება/განხორციელება მოხდება თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობით, როგორც კათედრების დონეზე, ისე სკოლის მენეჯერთა საბჭოს სამუშაო ფორმატით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. კათედრებსა და სკოლის მენეჯერთა საბჭოს ერთ-ერთი სამუშაო მიმართულება დაგეგმილია, რომ იყოს წარმატებული გამოცდილების გაანალიზება ,გაზიარება და სკოლაში დანერგვა. ასევე დაგეგმილია პერიოდული კონფერენციების ორგანიზება სკოლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის შინაგანაწესი;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (თანამდებობების მიხედვით, განსაზღვრულიასამუშაო აღწერილობებთან ერთად);
- სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- გაფორმებული სასამსახურო/შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები;
- მასწავლებლების თანამდებობებზე დანიშვნის აქტი (თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორის ბრძანება).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მასწავლებლების და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმები. მასწავლებლების შეფასება ხორციელდება გაკვეთილებზე დასწრებით და სხვა საშუალებებით, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების სამუშაოს შეფასებისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე შესაბამისი, ხელშეკრულებით

განსაზღვრული დამატებითი ფუნქციების შესრულების ხარისხი. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დასაქმებული პირების შეფასებას ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელი. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია**

2.შპს თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის დირექციასთან გასაუბრების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ დაგეგმილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ჩამოყალიბება, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცეული „მასწავლებელის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ დოკუმენტით გათვალისწინებული წესით. სკოლას შექმნილი აქვს შესაბამისი დოკუმენტი- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება. სკოლის ადამიანური რესურსის განვითარება განხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში სკოლის მიერ იგეგმება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა , მუშაობის შეფასება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც მიმართული იქნება სკოლის პერსონალის კარიერულ ზრდასა და სკოლაში სწავლა სწავლების პროცესების გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოში ორიენტაციისა და ინტეგრაციის მხარდამჭერ მექანიზმებს.დოკუმენტის თანახმად, თანამშრომლობის დაწყებამდე შესაბამისი თანამდებობისთვის განსაზღვრული უშუალო ხელმძღვანელი ახალ თანამშრომელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სხვა წესებს/რეგულაციებს, თანამშრომლის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით და ეხმარება ადაპტაციაში. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია**

5. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ფუნქციონირების დაწყებას გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლიდან, სკოლის მიერ შესაბამისი კანონდებლობის და კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესაბამისად გამოცხადებული იქნა ვაკანსიები,რის საფუძველზეც შეირჩნენ სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი.დაწესებულების მმართველ გუნდს სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, დაწესებულება გეგმავს გამოიყენოს თვითშეფასების მექანიზმებიც და თანამშრომელთა მოსაზრების და საჭიროების გათვალისწინებით დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები: ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრები და ა.შ. სკოლის მენეჯმენტი გამოხატავს მზაობას პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მისაღებად. დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი მის პარტნიორ „ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლასთან“ , რომლის საფუძველზე სკოლები გეგმავენ ერთობლივ ღონისძიებებს, კერძოდ გამოცდილების გაზიარებას მასწავლებლებს შორის. ასევე, სკოლის მართვის საკითხებთან დაკავშირებით სკოლის ხელმძღვანელებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მემორანდუმი ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლასთან;
- ხარისხის ჯგუფის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს თბილისის ქართულ ამერიკული სკოლის დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად შეგვიძილია ვთქვათ, რომ სკოლაში მისი ავტორიზაციის შემდეგ პროცესების მართვა ორიენტირებული იქნება ხარისხის განვითრებაზე , რომელიც დაეფუძნება შემდეგ ციკლს : დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება. ეს ეხება როგორც სასკოლო კურიკულუმებს და სასწავლო პროცესს , ასევე დამხმარე პროცესებს სკოლის პერსონალის შეფასებას, საჭიროების გამოვლენას და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებას, სკოლის მატერიალური რესურსის შეფასებას სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე და განვითარებას. აღნიშნული პროცესები დოკუმენტაციის მიხედვით თანხმდება სკოლაში არსებულ ყველა სამუშაო რგოლთან, რომელსაც კოორდინირებას უწევს მენეჯერთა საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების დოკუმენტაცია ასევე აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშრებული პროცესებს და რეგულაციებს. რომელიც განსაზღვრულია შემდეგ დოკუმენტაციაში: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, დებულება, სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი) და სხვა . სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შპს თბილისის ქართულ ამერიკულ სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრის განხილვის წესი, რომელიც დაინტერესებულ პერსონალს/მოსწავლეს/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს საშუალებას მისცემს, გაასაჩივროს სკოლის მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე, გაასაჩივროს ორგანიზაციის თანამშრომლის ქმედება, თუ პირი ჩათვლის რომ მისი უფლება ილახება. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი საჩივრის განხილვის პროცედურა. მოსწავლეებთან მიმართებით, დოკუმენტი შემუშავებულია "ბავშვის უფლებათა კოდექსის" მოთხოვნების გათვალისწინებით და ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის რეალიზებას. მოსწავლესთან კომუნიკაცია წარიმართება ასაკის და ინდივიდუალური განვითარების თავისებურების გათვალისწინებით, ფსიქოლოგის ჩართულობით. **ინდიკატრი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ მისი საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტებში აღწერილია პერსონალის, მოსწავლეების და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების უფლებები, რაც გარანტირებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.სკოლასა და თანამშრომლებს შორის დადებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების საკითხებს, დოკუმენტი შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.სკოლაში შემუშავებულია "საჩივრის განხილვის წესი".სკოლას ყავს იურისტი, რომლის სამუშაო მოვალეობაში შედის სკოლის პერსონალის, მშობლების, მოსწავლეების კონსულტირება საჭიროების არსებობის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის მენეჯერთა საბჭოს დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის კათედრის დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულება;

- თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლაში საჩივრის განხილვის წესი;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობები (თანამდებობების მიხედვით);
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ოფიციალური ვებგვერდი: www.gast.edu.ge;
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შედგენილია მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები, რომელიც იტვირთება სკოლის ვებგვერდზე და მათი საჯაროობა იქნება უზრუნველყოფილი, რომლის განცობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ექნება. სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება საქმიანობის პერიოდული ანგარიშების გაცნობა სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. სკოლაში შემუშავებული ახალი რეგულაციები (ან/და ცვლილებები) სისტემატიურად იქნება გაზიარებული სასკოლო საზოგადოების წევრებთან, მათი რეკომენდაციებისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით.

2. სკოლის მართვის პროცესში სკოლის მმართველობითი გუნდი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს კათედრებს, რომლებიც გააერთიანებს ყველა შესაბამისი საგნის მასწავლებელს. ამასთან, სკოლის მენეჯერთა საბჭოში წარმოდგენილები იქნებიან ადმინისტრაციული პერსონალი და კათედრების ხელმძღვანელები. მენეჯერთა საბჭოს მუშაობის ფორმატი, სხვადასხვა ხასიათის გადაწყვეტილების მიღებამდე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადეობის მონაწილეობით ჩაატაროს კვლევები (სტრატეგიული დაგეგმვა და ა.შ.), და კლევის შედეგებზე დაყრდნობით განახორციელოს სკოლაში რიგი ცვლილებები , აღნიშნული პროცესები

უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას სკოლის მართვის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის სამოქმედო გეგმა;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის მენეჯერთა საბჭოს დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის კათედრის დებულება;
- სკოლის ოფიციალური ვებგვერდი: www.gast.edu.ge.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს თბილისის ქართულ - ამერიკული სკოლის მიერ სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა უზრუნველყოფილია დაცვის თანამშრომლების, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის და ექიმის თანამდებობებისათვის განსაზღვრული სამუშაო ფუნქციების შესრულებით. სკოლის ეზო დაცულია ღობით, უცხო პირები სკოლაში დაიშვებიან მხოლოდ წინასწარ შეთანხმებით, განხორციელდება სკოლაში შემოსული პირების აღრიცხვა. სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად აღიჭურვება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით.შენობაში დაცული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ, შენობაში ვიზიტის პერიოდში მონტაჟდებოდა ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია. სკოლამ დოკუმენტურად წარმოადგინა საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებისას მოხდება საევაკუაციო გეგმების განთავსება სკოლის შენობაში, შესაბამისი წესებისა და პროცედურების დაცვით. ყველა სართულზე განთავსებული იქნება სახანძრო სტენდი. სკოლამ წარმოადგინა კორესპოდენცია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელზედაც სკოლა ელოდებოდა თანხმობას.

ორგანიზაციას შემუშავებული აქვს სამედიცინო კაბინეტის დებულება, სკოლის შენობაში სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ სკოლის პირველ სართულზე მოეწყობა სამედიცინო კაბინეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები.

საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი გეგმის პროექტი, სკოლის შენობაში სარემონტო

სამუშაოების დასრულების და სკოლის პერსონალის სრულად დაკომპლექტების შემდეგ იგეგმება მისი დამტკიცება, ამასთან, სკოლის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს პერსონალისათვის პერიოდულ სწავლების ორგანიზებას საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებთან დაკავშირებით. მოსწავლეების ჩარიცხვის შემდეგ მათაც ჩაუტარდებათ სპეციალური ინსტრუქტაჟი საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესებთან დაკავშირებით. სკოლა თანამშრომლობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს.**სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულება N004-08 (02.08.2023) მომსახურების გაწევის შესახებ. ასევე შესაბამისობის გეგმის დანართად სკოლამ წარმოადგინა ექსპერტიზის დანიშვნის დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი. სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა -2023 წლის 22 სექტემბერი) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შემუშავდა სპეციალური წესი, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ №06/ნ ბრძანების მოთხოვნებს. წესი მოიცავს ინფორმაციას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების, ასევე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის მიმართვის გზით პროექტი შესათანხმებლად გადაიგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სამინისტროსაგან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების და საბოლოო პროექტის შეთანხმების შემდეგ წესი დამტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია.**

3. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, სკოლა გეგმავს ფსიქოლოგის სამუშაოზე აყვანას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სხვადასხვა შემთხვევების დროს მდგომარეობის პირველად მართვას, ისე საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ნაწილში რეკომენდაციების შემუშავებას და გაზიარებას სკოლის პერსონალისათვის. მასშემდეგ რაც სკოლა იქნება ავტორიზებული დაწესებულება, სკოლის მმართველობითი გუნდის მიერ იგეგმება გარდა ფსიქოლოგის აყვანისა მოსწავლეებისთვის ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს მიზნით გააძლიეროს სადამრიგებლო მიმართულებით მუშაობა. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლის საშტატო განრიგში გათვალისწინებულია დასუფთავების თანამშრომლების შესაბამისი რაოდენობა. ამასთან, სკოლის ექიმი განახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ყოველდღიურ ზედამხედველობას. გარდა ამისა სკოლის შენობაში განკუთვნილია სპეციალური სათავსო სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, შეინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს წესებს და პროცედურებს. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებსდამუშავების შემთხვევებს და წესებს. ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალისათვის სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, წესების გაცნობის მიზნით. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც სკოლაში დაინერგება მისი ფუნქციონირების დაწყების შემდეგ. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

7. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირება პერიოდულად შეფასდება დაინტერესებული პირების გამოკითხვის მეშვეობით, სკოლა გეგმავს, შეფასების შედეგები გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის საშტატო განრიგი;

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის პროექტი;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ექიმის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ექიმის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ექიმის აყვანის შესახებ ბრძანება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულება;
- თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკის დოკუმენტი;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტი
- თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმებისმიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად გაგზავნილი დოკუმენტაცია;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პროექტი;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (თანამდებობებისმიხედვით) - სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო აღწერილობა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო ინფრასტრუქტურა განთავსებულია 4039.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მოიცავს რამდენიმე ობიექტს: სკოლის შენობას, სპორტულ დარბაზს და მრავალფუნქციური დანიშნულების (არაფორმალური განათლება, საინფორმაციო ცენტრი) შენობა-ნაგებობას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის გამიზნულ შენობა ნაგებობაზე მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში სრულდება კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ასევე უზრუნველყოფილი იქნება სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოების დასრულება, სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად. უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის შპს „თბილისის ქართულ ამერიკული

სკოლის“ დამფუძნებელ კომპანიას, შპს „ვი თი ჯგუფს“ (205143824), რომელსაც გაცემული აქვს თანხმობა უძრავი ქონების მისამართის სკოლის მისამართად გამოყენების შესახებ. იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში გაფორმებულია 10 წლის ვადით. სკოლის შენობა 28 საკლასო ოთახს მოიცავს, მოსწავლეთა კონტინგენტის გამოთვლის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, თითოეულ საკლასო ოთახში სკოლაში დასაშვებია 18 მოსწავლის განთავსება. შესაბამისად, სკოლა ითხოვს , ავტორიზაციის ვადით მომსახურება გაუწიოს არაუმეტეს 504 მოსწავლეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დასრულდება არაუგვიანეს 2023 წლის 25 აგვისტოს.

2. სკოლაში გარდა საკლასო ოთახების და ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის სამუშაო სივრცეებისა, პროექტის გეგმა ითვალისწინებს ასევე საერთო სარგებლობის სივრცეებს როგორიცა: სკოლის ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები (საბუნებისმეტყველო, ინფორმაციული ტექნოლოგიების), სკოლის საერთო მისაღები სივრცეები (სკოლის ფოიე, საერთო სარგებლობის დერეფნები, სკოლის ეზო (სარეკრეაციო სივრცე), რაც შექმნის სრულფასოვან საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურას. სკოლის მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება სკოლის პერსონალისა და მოსწავლეებისათვის. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა -2023 წლის 10 სექტემბერი) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3. ავტორიზაციის პერიოდში სკოლაში მიმდინარეობდა შენობის საერომონტო სამუშაოები, შესაბამისად ექსპერტების მიერ ადგილზე დათვალიერებული იქნა არსებული მდგომარეობა და განხილული იქნა სკოლის შენობა- ნაგებობის პროექტი, რომლის მიხედვითაც სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას ინკლუზიურ გარემოს შექმნისთვის. სკოლის შენობა პროექტის გეგმის მიხდვით იქნება ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, ეტლით მოსარგებლე პირებს ექნებათ შესაძლებლობა თავისუფლად გადაადგილდნენ სკოლის მთელ ტერიტორიაზე. დახურულ სპორტულ დარბაზში დამატებით მიმდინარეობდა ლიფტის მონტაჟი, რათა ეტლით მოსარგებლე პირებს ჰქონდეთ გამოსაცვლელ სივრცემდე გადაადგილების შესაძლებლობა. ასევე სკოლის შენობის ყველა სართულზე სპორტულ დარბაზში და მრავალ ფუნქციურ შენობაში, რომელიც განკუთვნილია არაფორმალური განათლებისა , სკოლის კლუბების საქმიანობისთვის პროექტის გეგმის მიხედვით გათვალისწინებული არის ადაპტირებულია სველი წერტილები, შშმ პირებისათვის.

4. პროექტის გეგმის მიხედვით სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო გამოყენების საუშაო და დასასვენებელი სივრცეები უზრუნველყოფს ყველა საჭირო პირობას, რომ მომავალში სკოლა ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სივრცეების გამოყენების საშუალება ექნება სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების და შინაგანაწესით დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით. აღნიშნული სივრცეები გამოყენებული იქნება როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების მიღების მიზნით, მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვისათვის.

5. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო და დამატებითი მომსახურების მისაწოდებლად (სპორტული, სახელოვნებო და ა.შ.) სკოლას ექნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ იგეგმება საბიბლიოთეკო ფონდის დაკომპლექტება, ასევე სამუშაოების დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სრულად გამართვა. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სკოლისათვის საჭირო ინვენტარის შეძენას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
- შენობა-ნაგებობის სქემა.
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა „ და შპს ,,ნიუფასადს“ შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულება 23.05.2023 წელი;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა „ და ,,მონტაჟ ჯორჯია’’-ს შორის 2023 წლის 10 აპრილის ნარდობის ხელშეკრულება;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა„ და შპს ,,სსს კომპანია მიშელი ‘’-ს შორის 2023 წლის 26 აპრილს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულება;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა „ და შპს ,,რექსუ’’-ს შორის 2023 წლის 1 ივნისს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულება;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა „ და ინდ მეწარმე ვარდაან გალოიანი-ს შორის 2023 წლის 5 ივნისს დადებული ნარდობის ხელშეკრულება;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა „ და შპს ,,ალტაკო“-ს შორის 2023 წლის 6 ივნისს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულება;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა „ და ნიუპანელი -ს შორის 2023 წლის 29 მაისს დადებული ნარდობის ხელშეკრულება;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა „ და შპს ,,აკბილდინგი-ს’’შორის 2023 წლის 21 ივნისს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულება;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა“ და შპს ,,msg group ‘’ -ს შორის 2023 წლის 10 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების ცვლილების შესახებ;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა“ და შპს ,,ნოვო ტექ’’ -ს შორის 18 აპრილს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;

- შპს ,,ვი თი ჯგუფისა“ და შპს ,,იმპოსტი მეპ“-ს შორის 2022 წლის 26 ოქტმბრის ხელშეკრულება სკოლის საინფორმაციო ცენტრისა და სპორტული დარბაზის სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების თაობაზე;
- შპს ,,ვი თი ჯგუფსა'' და ,,თბილლიფტსერვისს'' შორის 2023 წლის 12 აპრილს გაფორმებული N2307 ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვის მიზნით, სკოლის მიერ წამოდგენილი იქნა შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კერძოდ 10 ჭკვიანი დაფის და 30 კომპიუტერის შესყიდვის შესახებ. პროექტის გეგმაში გათვალისწინებულია თანამედროვე აღჭურვილობის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის მიერ განხორციელებული პროცესები

ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ ხელს შეუწყობს სკოლის მიერ დაგეგმილი მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, სკოლის მმართველ გუნთთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსწავლეების , მასწავლებლების, პერსონალისთვის შესაბამისი სასწავლო და სამუშაო პირობების შექმნას . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე,ასევე სკოლის პროექტის გეგმის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ , რომ სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ყველა საკლასო ოთახში, ასევე, სამასწავლებლოში/კათედრების სამუშაო სივრცეში, ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიაში. სკოლას შემუშავებული აქვს წესები ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მიზნობრივად, უსაფრთხოდ და თანაბრად გამოყენებისათვის.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის.სკოლამ წარმოადგინა სკოლის ინფორმაციული ტექონოლოგიების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა სკოლაში მინდინარე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების გამო სკოლას არ აქვს მოწყობილი შესაბამისი ტექონოლოგიური სივრცეები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა -2023 წლის 10 სექტემბერი) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
- ლაბორატორიის დებულება
- ინვოისი - სასკოლო ავეჯისა და ინვენტარის შეძენის შესახებ;
- ინვოისი - ინფორმაციული ტექნოლოგიების შეძენის შესახებ;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციაში დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხებს. კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება დირექტორის ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპოდენციის და კოლეგიური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და ხელშეკრულებების/მემორანდუმების აღრიცხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.შპს თბილისის ქართულ ამერიკულმა სკოლამ მოლაპარაკებები აწარმოა ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის დარეგვის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სკოლაში ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება საქმის წარმოება განახორციელოს ელექტრონულად ,eflow-ს საშუალებით. კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებაც. ვიზიტის პერიოდში საქმისწარმოება დღეისათვის სკოლაში ხორციელდება მატერიალური სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას დღეისათვის არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, შესაბამისად, სკოლას არ აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschools-ი) სკოლის პროფილის სრულყოფილად შექმნის შესაძლებლობა.

მასწავლებლების შესარჩევი კონკურსის მიზნებისთვის სკოლამ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან კომუნიკაციის გზით უზრუნველყო სკოლის რეგისტრაცია შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე (teacherjobs.ge). ვიზიტის პერიოდში teachersjob.ge გამოქვეყნებული ჰქონდა მასწავლებლის ვაკანსიები, კანომდებლობის სრული დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. იმის გათვალისწინებით, რომ დღეისათვის სკოლა არ არის ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რაიმე სახის ანგარიშგება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან არ აქვთ . ამასთან, სკოლა, როგორც დამწყები და განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულება გეგმავს თანამშრომლობას ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან, სკოლის საქმიანობის კანონიერების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი

გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს თბილისის ქართულ ამრეკული სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი https://gast.edu.ge/, რომლის საშუალებითაც ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას. ვებგვერდს იყენებს საკომუნიკაციო საშუალებად. დაწესებულების მიერ გარდა სკოლის ვებ გვერდისა საკომუნიკაციოდ იყენებს სხვადასხვა საშუალებებს. სკოლა აქვს facebooke-ს გვერდი, (https://www.facebook.com/gasttbilisi/) რომლის მეშვეობითაც ავრცელებს ინფორმაციას იმ სერვისების შესახებ, რომლის მიწოდებასაც დაინტერესებული მოსწავლეებისთვის გეგმავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემდეგ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ სანდოა. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მითითებული სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით დააზუსტონ მათთვის საინტერესო და

აქტუალური ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შპს თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობას მისცემს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. რომელსაც განიხილავს სკოლის მენეჯერთა საბჭო , სკოლის დირექციასთან ერთად. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი: https://gast.edu.ge/ რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია დღეისათვის მხოლოდ ქართულ ენაზე, სწავლებაც პირველ ეტაპზე იგეგმება მხოლოდ ქართულ ენაზე. საერთაშორისო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ, შესაბამისად, შეიქმნება ასევე ინგლისურენოვანი გვერდიც. სკოლის ვებგვერდზე იტვირთება შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.შპს თბილისის ქართულ ამერიკული სკოლის ვებგვერდი ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში დამუშავების დამუშავების პროცესში იყო. რის გამოც სკოლის სერვისების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე ნაწილობრივ იყო განთავსებული. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება , რომ უახლოეს პერიოდში ვებგვერდზე სრულად იქნება განთავსებული: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინფორმაცია სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების შესახებს, შერჩეული სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, სკოლაში რეგისტრაციის პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი, მათ შორის, საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლაში დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განახლდება საჭირო პერიოდულობით. ასევე განთავსდება მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ვებგვერდი: https://gast.edu.ge/;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/gasttbilisi/);
- ვებგვერდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და არსებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება სკოლის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსით. საქმიანობის პირველ წელს სკოლის დამფუძნებლებს და მმართველ გუნდ სხვა სახსრების მოზიდვა დაგეგმილი არ აქვთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა“ ახალი დაფუძნებული იურიდიული პირია, რომელიც გეგმავს, თუმცა დღეისათვის არ ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას. საქმიანობის ეფექტიანობისათვის პრიორიტეტია ფულადი სახსრებისა და რესურსების ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება ფინანსური მენეჯერის ჩართულობით (სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების შესყიდვას). სკოლის საშტატო განრიგი და სახელფასო ბადე იგეგმება საქმიანობის ეფექტიანობის მისაღწევად, ამავე მიზნით იგეგმება ყველა პროცესი/ღონისძიება სკოლაში, რაც ასახულია თითოეული თანამშრომლის სამუშაო აღწერილობასა და სკოლის სამოქმედო გეგმაში (რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული

განვითარების გეგმიდან). ასევე გაკონტროლდება ბიუჯეტის განკარგვა, განხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, სკოლაში დადგენილი წესის შესაბამისად. წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები გამოქვეყნებული იქნება საჯაროდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის სამოქმედო გეგმა;
- საშტატო განრიგი და სახელფასო ბადე;
- სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; შპს ქართულ - ამერიკული სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესის პირველი თავის პირველი მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად შინაგანაწესის მიზანია, განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების წევრების (პერსონალი, მოსწავლე, მშობელი) უფლება-მოვალეობები, ხელი შეუწყოს სკოლაში მოსწავლის ქცევის კოდექსის დამკვიდრებას, ქცევის მოსწავლის მიერ საკუთარი ქცევის მართვას, მოსწავლეთა დისციპლინისა და ურთიერთპატივისცემის, სკოლაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრებას, სწავლისათვის ხელსაყრელი ისეთი გარემოსა და პირობების შექმნას, სადაც მოსწავლე შეძლებს ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებას.

სკოლის შინაგანაწესი , ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 4. საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების შესახებ ცოდნის უფლებას, მუხლი 10. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მუხლი 11. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა; მუხლი 12. დისციპლინური სახდელები;მუხლი 13. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი;

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა - მოსწავლეები კლასებში გადანაწილდებიან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვა მოხდება მათი სურვილის მიხედვით და სკოლის შესაძლებლობების (კვოტის) გათვალისწინებით. განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება მოსწავლის შესაძლებლობებზე გათვლილი მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომები, დიფერენცირებული სწავლება და რემედიაცია.

მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს.

დამრიგებლის სამუშაო აღწერილობის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის დებულების 11-ე მუხლის თანახმად, დამრიგებლის მოვალეობაა გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები დამოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);

სკოლაში შემუშავებულია საჩივრების განხილვის წესი, რომელიც მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ითვალისწინებს
საკითხის შესწავლის და საკითხზე გადაწყვეტილების მიღების წესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, საფასურის გადახდის ვადას და პერიოდულობას, მხარეთა ვალდებულებებს, მხარეთა შორის კომუნიკაციას, სკოლის საქმიანობას, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტას, დამატებით პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება
- მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სკოლის შინაგანაწესი
- სამუშაოს აღწერილობები
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- საჩივრების განხილვის წესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის III თავია მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის/მობილობის წესი.მე-5 მუხლში ასახულია სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა, მე-6 მუხლში-სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა (გარდა პირველი კლასისა); მე-7 მუხლში -მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მე-8 მუხლში-მოსწავლის სტატუსის აღდგენა; მე-9 მუხლში-მოსწავლის მობილობის წესით ჩარიცხვა. დოკუმენტი შექმნილია კანონმდებლობის შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხების გადაწყვეტისას იხელმძღვანელებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, სკოლის შიდა პოლიტიკა, მოსწავლის ქცევის კოდექსის ნორმები, დისციპლინური დევნის სახეები და სხვა დაკავშირებული საკითხები ასახულია სკოლის შინაგანაწესში, რაც ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში დამრიგებლები დამატებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის/მშობლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის სამუშაო აღწერილობები სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აკისრებს ვალდებულებას, ინფორმაცია სასწავლო გეგმის, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ გაავრცელოს მხოლოდ განახლებული და გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ვებ გვერდი: www.gast.edu.ge;
- სკოლის შინაგანაწესი;

- სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტი;
- სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დებულების მე-3 მუხლის თანახმად,სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ეფექტიანი ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას, შეფასებას და განვითარებას, ასევე პერსონალის მართვის პოლიტიკის შემუშავების გზით, თითოეული დასაქმებული პირის ხელშეწყობას სკოლაში ორგანიზაციულ ორიენტაციასა და ადაპტაციაში; ამავე დებულების თანახმად, ფსიქოლოგის სამუშაო ამოცანებია:მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სასკოლო გარემოსთან ადაპტირების პროცესში ჩართულობა.დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებში შედის მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა. მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტირების პროცესის შესაფასებლად გამოყენებული იქნება კითხვარი (დანართი N3).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა ფუნქციონირების დაწყებას გეგმავს 2023 წლის სექტემბერში, შესაბამისად, სკოლის დებულების თანახმად, სკოლის ფსიქოლოგი, დამრიგებლები, სკოლის დაწყებითი კლასების (I-IV კლასები) პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის სხვა პერსონალი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; **ინდიკტორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის მხარდაჭერის მექანიზმები (კონსულტაცია და სხვა) გათვალისწინებულია სკოლის ყველა მასწავლებლის და დამრიგებლის სამუშაო აღწერილობებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მაგალითები არ აქვს, თუმცა, ინტერვიუთი დასტურდება, რომ სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი (მასწავლებლები, ადმინისტრაცია), რომელთა ხელშეწყობით მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ დამატებითი აქტივობები. სკოლა გეგმავს როგორ დამატებითი/არაფორმალური განათლების ხელშეწყობას ასევე მოსწავლეთა ინიციატივები წახალისებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლებისაგან, ასევე, სკოლის პერსონალისაგან უკუკავშირის მექანიზმებს, ანონიმური გამოკითხვების, ჯგუფური დისკუსიის სახით, რაც ემსახურება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- სკოლის დებულება;
- მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტირების პროცესის შესაფასებელი კითხვარი (დანართი N3).

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შესაბამისად,სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელი მოსწავლის ასაკის შესაბამისად იმუშავებს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოს დაცვითი კულტურის განვითარება, პროფესიულ ორიენტაციაში დახმარება და სხვა. სკოლას მომდევნო ეტაპზე დაგეგმილი აქვს თანამშრომლის/თანამშრომლების (მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად) აყვანა, რომლებიც მოსწავლეებს გაუწევენ კონსულტაციებს და დაეხმარებიან უცხოური უნივერსიტეტის შერჩევაში და ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადების/პროცედურებისგავლაში(მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლის მიზანია, მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მიღებული განათლებით და სკოლის მხარდაჭერით წარმატებით განაგრძონ სწავლა ადგილობრივ/უცხოურ უნივერსიტეტებში, მათი თავისუფალი არჩევანის შესაბამისად. ამ მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მემორანდუმების გაფორმებას ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან. როგორც შიდა სასკოლო, ასევე, ერთობლივი ღონისძიებების ფარგლებში მოსწავლეებს და მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით (გამოკითხვა, ინტერვიუ, ჯგუფური დისკუსია და ა.შ.) მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- სკოლის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მე-11 მუხლი ეხება ინკლუზიურ განათლებას. სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში
დეტალურად იქნება განსზღვრული: სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული
სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები,
მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა; ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის სირთულეების პირველად მართვას/გადამისამართებას დეტალური შეფასებისათვის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N1 -ია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ვინაიდან, ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას განიხილონ რამდენად ეფუძნება სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. თუმცა, სკოლის ინკლუზიური განათლების კონცეფცია მოიაზრებს პროცესებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის მეხუთე მუხლის მეორე პუნქტი ეთმობა მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ სერვისებს. სკოლაში არაფორმალური განათლების ნაწილში განსაზღვრულია კლუბებისა და წრეების მუშაობა, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საქმინობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად და მისი მიზნებიდან გამომდინარე ხელს უწყობს ბავშვების ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას.სკოლის ბაზაზე გათვალისწინებულია:ჭადრაკის, ხელოვნების,ქართული ცეკვის,თანამედროვე ცეკვის, კალათბურთის, ჟურნალისტთა წრის,ფეხბურთის, ტანვარჯიშის,ბალეტის, მუსიკის და ინფორმატიკის წრის ფუნქციონირება.სკოლაში გათვალისწინებულია კვების სერვისი.სკოლას ჰყავს მზარეული და მზარეულის დამხმარე.პროგნოზირებად ბიუჯეტში გათვალისწინებულია კვების ხარჯები.სკოლას აქვს სერტიფიკატი,მასზედ რომ სკოლის ბუფეტში წარმატებით დაინერგა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP)პრინციპები „Codex Alimentarius" მიხედვით. ასევე მენეჯერმა და პერსონალმა წარმატებით გაიარა ჰიგიენური სწავლება თემაზე:ჰიგიენის სამუშაო პრაქტიკა (GMP/GHP). სკოლის ბუფეტი განთავსებული იქნება სკოლის კაპიტალური შენობის ნულოვან სართულზე.აქვს ორი დამოუკიდებელი შესასვლელი,ერთი სკოლის მხრიდან, ხოლო მეორე ეზოს მხრიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა უზრუნველყოფილია თანამშრომლების სამუშაო აღწერილობებით, "სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით და პირობებით", ფსიქოლოგის და სამედიცინო კაბინეტის სერვისით, ყველა სახის მომსახურება შეესაბამება უსაფრთხოების ზოგადად არსებულ ნორმებს და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- "სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები"
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ფსიქოლოგის სამუშაო აღწერილობა).
- სკოლის სამედიცინო კაბინეტის დებულება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;)**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლას აქვს კურიკლუმის შემუშავების მეთოდოლოგია. თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავდა ადმინისტრაციის მიერ, საფუძვლად დაედო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სკოლის მისია, სწავლა/სწავლების პროცესის მოსწავლეზე ორიენტირება და ზრუნვა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული პროცედურები . სკოლას, ასევე აქვს მზაობა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა, მათი შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, რათა უზრუნველყოს მათი ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. სკოლის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები სრულყოფილად ასახული არ არის, რადგან სკოლა ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებს. თუმცა, სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ასახული თემები და აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლაში განსაზღვრულია სასკოლო კლუბებისა და წრეების მუშაობა.აქტიურად იგეგმება და განხორციელდება სასკოლო პროექტები,რომლის თემატიკაც ძირითადად განისაზღრება ეროვნული სასწალო გეგმის პრიორიტეტული თემების და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადიდან ჩანს, რომ კურიკულუმი შემუშავების პროცესშია და პროცესი მიმდინარეობს იმ თანამშრომლების ჩართულობით, რომლებთანაც მისი შემუშავების ეტაპზე სკოლას აქვს შრომითი ურთიერთობა. გააჟღერეს, რომ მიმდინარეობს შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პროცესი და უკვე მიმდინარე თვიდან მათი ჩართულობით უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმის განვითარება და ჩამოყალიბდება დასრულებული სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
4. სკოლის თვთშეფასების განაცხადის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტის თანახმად, სკოლა კურიკულუმს მოიაზრებს, როგორც საჯარო დოკუმენტს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოხდება უკუკავშირის და რეკომენდაციების გაზიარება კათედრის წარმომადგენლების მიერ. კურიკულუმის საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ კი მოხდება მისი გაზიარება

სკოლის ვებ გვერდზე. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების მექანიზმები, რაც სასკოლო საზოგადოების მხრიდან მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებისკენაა მიმართული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, თემები და კომპლექსური დავალებები სასწავლო შინაარსთან ერთად,მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინტერესის , შესაძლებლობის და წინარე ცოდნის გათვალისწინებას. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტსა და სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღწერილია, ვის რა როლი აქვს საგნობრივი

კურიკულუმის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად, ხოლო ყველა მომდევნო წლისათვის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას, გაითვალისწინონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, შედგენილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად ასახულია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები. კურიკულუმი დაგეგმილია იმ სახით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეებში შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, საკომუნიკაციო უნარების განვითარება, თვითრეგულაციური ციკლის განვითარება, ღირებულებების ჩამოყალიბება და ავტონომიურობა.დაწყებითი საფეხურის ხელოვნებაში სასურველია ყველა თემატურ ბლოკში მუშავდებოდეს საფეხურზე სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება .დაწყებით საფეხურზე თემატური ბლოკები სტანდარტით განსაზღვრულია, ამიტომ სასურველია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები მუშავდებოდეს თემატური ბლოკის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ შემუშავებულ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, აღწერილია იკლუზიური განათლების პრინციპები,რაც მოიაზრებს დიფერენცირებულ მიდგომას როგორც სასწავლო პროცესში, ისე შეფასებისას. სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდაჭერის მექანიზმებს, როგორც მდგომარეობის პირველადი მართვის, ისე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურებს და მონიტორინგის მექანიზმებს. სასკოლო კურიკულუმით ასევე განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის საწრეო და საკლუბო მუშაობის ფუნქციონირება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდნარე. ხოლო, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების პირობა იძლევა საშუალებას მოსწავლემ გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება სხვადასხვა საშუალებით და შეიქმნას მრავალფეროვანი პროდუქტი (პოსტერი,კომპიქსი,როლური თამაში,ინტერვიუ,ფოტო კოლაჟი).**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასების პროცესში გამოყენებული იქნება განმსაზღვრელი(V- კლასის II სემესტრი, VI კლასი) და განმავითარებელი შეფასებები. შეფასების პროცესში ორიენტირია რძელვადიანი მიზნები. შეფასება მიზნად ისახავს, მოსწავლეს აჩვენოს, როგორ გაიუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი.წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით,ხოლო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება ეფუძნება საფეხურეობრივ შედეგებს. მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენის და შედეგების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება დიაგოსტიკური წერის ჩატარება(უცხო ენა, მათემატიკა, ქართული ენა). დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტისა და აქტივობის გამოყენება მაგ. შემაჯამებელი კითხვები,12 სიტყვიანი რეზიუმე, ერთწინადადებიანი შეჯამება და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მოხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება.ამ მიზნით, გამოყენებული იქნება მასწავლებლების და მოსწავლეების პირადი პორტფოლიოს ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების/დავალებების შეფასება და ანალიზი. მიმდინარე პროცესში, სკოლა ეყრდნობა მასწავლებელთა სხვა სკოლებში მუშაობის გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტებით სწავლების ხედვა და გეგმა. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლოს სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას აქვს წარმოდგენილი გრძელვადიანი ხედვა სადაც აღნიშნულია, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, ამის რეალიზებისთვის სკოლა კომპლექსური ტიპის დავალებებს განიხილავს , სადაც საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური, საინტერესო შინაარსის კონტექსტის მქონე დავალებები მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება/გახსენებაზე, ახალი მასალის წინარე ცოდნაზე დაფუძნებასა და შემდეგ ძველი და ახალი ცოდნის გაერთიანება/გამთლიანებაზე იქნება ორიენტირებული. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ დაწყებით საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციედება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სწავლების მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა წარმოდგენილი სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიციასა და სწავლის უნარების განვითარებაში. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა ორიენტირებული არის განავითაროს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარები, ამისათვის დაგეგმავს და განახორციელებს ისეთ სასწავლო აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში განავითაროს როგორც ფაქტობრივი ცოდნა ასევე პროცედურული ნაწილები, ამასტან ერთად ცხოვრებისეული გამოცდილებისათვის დანერგავენ კომპლექსური დავალებებს, პროექტები და სხვა. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ, სკოლას სხვადასხვა საგანში გეგმავს განახორციელონ პროექტული სწავლებები , პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და შესაბამისი აქტივობების განხორციელოს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დაწყებით საფეხურზე, შედგენის დროს არის გათვალისწინებული, თემებს შორის ფუნქციური კავშირები, რათა მოსწავლემ შეძლოს ცოდნათა შეძენის თანვდევათ დაინახოს მიმართებები საგნობრივ საკითხებში და შეეძლოს თავად ააგოს ახალი ცოდნა რისთვისაც გამოყენებულ იქნება სხვადასხვა აქტივობები. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება სკოლის მიერ ამოიკითხება არაფორმალურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში ყველა საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში. კომპლექსური ბუნების დავალებებში სადაც მოსწავლის მიერ შესასსრულებელ ეგრეთ წოდებულ პროდუქტში უნდა მოახდინოს სხვადასხვა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ამასთან დაორგანიზება. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- დაწყებით საფეხურის კურიკულუმი
- საგნობრივი კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და დაწესებულების თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის

დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. სკოლას აქვს მზაობა ,რომ კურიკულუმის პროექტი გაუმჯობესდება სკოლაში აყვანილი მასწავლებლების ჩართულობით და მიიღებს დასრულებულ სახეს. ამასთან, ყოველწლიურად გადამუშავებით უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმის თანმიმდევრული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს შექმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის იგეგმება და განხორციელდება სასკოლო აქტივობები. თითოეული მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია თანასწორუფლებიანობა და გარემო ურთიერთობები, რომელიც გულისხმობს თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერებისა და პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას, რომელიც მოსწავლეს ჩამოუყალიბებს სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტის, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები.თემატური ერთეულის ფარგლებში იგეგმება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის სისტემატური გამოყენება. განმავითარებელ შეფასებას ექვემდებარება როგორც მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგი (ინსტრუმენტი-განმავითარებელი კომენტარი), ასევე სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტი შეფასება სხვადასხვა ინსტრუმენტებით, კერძოდ: შუქნიშნის ფერები და ხელის ნიშნები, შეკითხვების გამოყენება სწავლისა და ათვისების შესამოწმებლად, შეჯამება, პოსტერები, გრაფიკული ორგანიზატორები, პერსონაჟის რუკა, ქვიზები, ტესტები და სხვა.. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. ეს კი ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სკოლა ორიენტირებულია, შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ასეთ პრინციპებს დაეფუძნა კურიკულუმის შემმუშავებელი ჯგუფი. საკითხი კიდევ იქნება განხილული მასწავლებლების მონაწილეობით, გამოყენებული იქნება მათი უკუგება, რის შემდეგაც დამტკიცდება კურიკულუმი. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი,რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, სადაც გაწერილია,რომ სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: 1.შემაჯამებელი დავალების და სკოლაში ჩატარებული ყველა ტიპის გამოცდისთვის შედგენილი ინსტრუმენტის, სკოლაში შექმნილი და/ან ადაპტირებული კომპლექსური დავალებების პირობების ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია.
2.შემაჯამებელი დავალებების/გამოცდების ჩატარების /მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესის ვერიფიკაცია.3. შემაჯამებელი დავალებების, სკოლაში გამართული გამოცდების, კომპლექსური დავალებების შედეგების/მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მოსწავლეთა სემესტრული და წლიური ქულების ვერიფიკაცია. შემუშავებულია ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები და შეფასება შესაბამისი და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.შეფასება მთლიანად სკოლის პასუხისმგებლობაა, შესაბამისად სკოლა უზურნველყოფს, რომ პროცესი იყოს ზუსტად დაგეგმილი და სამართლიანად განხორციელებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლაში უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კურიკულუმის ჩარჩო;
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გამოხატულია მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერაში. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმიდან, სასწავლო პროცესის მარეგულიერებელი დოკუმენტიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, სკოლის მიერ ფუნქციონირების დაწყებიდან, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს მიეცემა საშუალება გამოიჩინოს ინიციატივები, მოსწავლეებს და მშობლებს ექნებათ შესაძლებლობა განახორციელონ უკუკავშირი, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას მიაქცევს სხვადასხვა კლუბურ საქმიანობას და განსაკუთრებით სსიმ მოსწავლეებს და მათ ინტეგრირებას სასკოლო საზოგადოებაში, რასთან დაკავშირებითაც დეტალურად არის გაწერილი შესაბამისი პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა მოსწავლე. სკოლის მიერ წარმოდგენილია განსახორციელებელი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებშიც მოცემული კომპლქსური დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. სასწავლო პროცესში ასევე გამოყენებული იქნება დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა სექტემბრიდან იწყებს ფუნქციონირებას, შესაბამისად რაიმე ტიპის გამოცდიელბა ამ კუთხით არ არსეობს. სკოლის მიერ მოწოდებულ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ვკითხულობთ შემდეგს: "სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის განვითარებაზე ზრუნვა იქნება უწყვეტი პროცესი, რომელშიც ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება თავისი კომპეტენციებიდან გამომდინარე, კერძოდ: სასწავლო პროცესში ჩართული ყველა მასწავლებელი:

აღწერს და კოლეგებს გაუზიარებს ინფორმაციას დაგეგმილ და განხორციელებულ სასწავლო პროცესის მიღწევებთან და გამოწვევებთან დაკავშირებით;

მონაწილეობას მიიღებს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში;

მუშაობის პროცესში გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც კათედრის და/ან მენეჯერთა საბჭოს მიერ იქნება შემუშავებული.

კათედრის თავმჯდომარე:

შეათანხმებს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ მასწავლებლებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების და სასწავლო პროცესის შესახებ;

შეაგროვებს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს და ფასილიტაციას გაუწევს კათედრის სხდომებზე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემების შესწავლას, გაანალიზებასა და გადაჭრი მექანიზმების შემუშავებას, ინოვაციების დანერგვას და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მომზადებას,

დათქმულ ვადებში მენჯერთა საბჭოს მიაწოდებს მომზადებულ მასალებს, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების და მასწავლებლების მიღწევები და არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას;

მონაწილეობას მიიღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. იქნება შუამავალი მენეჯერთა საბჭოსა და მასწავლებლებს შორის.გაამთლიანებს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ მასალებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სადაც განიხილავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად, ინოვაციების დასანერგად;

ხელს შეუწყობს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას;

უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას;

უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას;

ფასილიტაციას გაუწევს სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და მათი შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განვითარებას “.ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას დაეფუძნება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებელთან გასაუბრებით იკვეთება, რომ ყურადღება ექცევა მოსწავლეებისთვის უსაფრთხო, პოზიტური სასკოლო კლიმატის შექმნას, რასაც უზრუნველყოფს დიფერენცირებულ მიდგომას სწავლის პროცესისადმი, მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები, სკოლის ინფრასტრუქტრა- ლაბორატორიული კაბინეტი საბუნებისმეტყველო საგნებში, ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის, სპორტული გარე და შიდა სივრცეები- ეს ის არასრული ჩამონათვალია რაც სექტემბრიდან დახვდებათ მოსწავლეებს აღნიშნულ სკოლაში და ხელს შეუწყობს პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას როგორც კლასის ასევე სკოლის დონეზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის სამოქმედო გეგმა.
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მონიტორინგი და შეფასება მომავალი სასწავლო წლიდან განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სადაც კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც ციკლური პროცესი, რომელიც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია და მონიტორინგი და შეფასება კი სასწავლო პროცესის ეფექტიანობის განმსაზღვრელი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია და განწყობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ინდიკატორი შეფასდეს დადებითად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სკოლაში წარმოჩენილი პრობლემის გადაჭრასა და გამომწვევებთან გამკლავებას. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია და განწყობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ინდიკატორი შეფასდეს დადებითად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი.
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზადაა იმისთვის, რომ შეფასება (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) დაეფუძნოს მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ასევე შეფასებები, ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით, წარმოდგენილია საფეხურეობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზადაა იმისთვის, რომ შეფასება (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) დაეფუძნოს სხვადასხვა კონტექსტს, სავალდებული თუ სარეკომენდაციო თემატიკას.

როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სასწავლო პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმის განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების დროს დადასტურდა სკოლის პერსონალის მზაობა იმისათვის, რომ შეფასებისას გამოყენებულ იქნეს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები". ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ციკლს: დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე და მოიცავს სკოლის სერვისების და რესურსების უწყვეტ შეფასებას. დოკუმენტი აღწერს სკოლის კურიკულუმის დაგეგმვის, განხილვა/გაზიარების, კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების, დანერგვის პროცესის, მასწავლებლის მიერ წარმართულ გაკვეთილზე დაკვირვების, მასწავლებლის თვითშეფასების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული განვითარების დაგეგმვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობების განხორციელების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მონიტორინგის, გამოყენებული სასწავლო რესურსების, დიაგნოსტიკური წერების და სხვა აქტივობების შესრულების ვადებს და შეფასების კრიტერიუმებს (დანართი N1 მონიტორინგი და შეფასება)აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" დოკუმენტის შესაბამისად სასწავლო პროცესში დაკვირვება ხდება ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით,გათვალისწინებულია დიაგნოსტირება და პრაქტიკის კვლევა.სასკოლო საზოგადოებამ დაადასტურა მზაობა იმისა, რომ შეფასება გახორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები"
- დანართი „მონიტორინგი და შეფასება"
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის რევიზია. როგორც თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ახორციელებენ საგნობრივი კურიკულუმების ანალიზს.სკოლის განვათარების გეგმაში ასახულია და ინტერვიუს დროსაც გაირკვა, რომ სკოლა მზადაა ,,კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის" შემუშავებისათვის. ამ მიზნით მასწავლებლების მიერ ხდება კათედრებზე შეკრება და გამოცდილებისა და მიგნებების გაზიარება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. კოლეგების თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი და მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ საკუთარ , ისე კოლეგათა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. მასწავლებელი ინტერვიუს დროს გვიამბობს,რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. აღნიშნულის საფუძელზე შეიქმნება გადამუშავებული კურიკულუმი, რომლებიც გამოიყენება მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლას აქვს კურიკლუმის შემუშავების მეთოდოლოგია. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავდა ადმინისტრაციის მიერ, საფუძვლად დაედო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სკოლის მისია, სწავლა/სწავლების პროცესის მოსწავლეზე ორიენტირება და ზრუნვა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული პროცედურები . სკოლას,ასევე აქვს მზაობა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა, მათი შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, რათა უზრუნველყოს მათი ჩრთულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად,სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები სრულყოფილად ასახული არ არის, რადგან სკოლა ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებს. თუმცა, სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ასახული თემები და აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლაში განსაზღვრულია სასკოლო კლუბებისა და წრეების მუშაობა.აქტიურად იგეგმება და განხორციელდება სასკოლო პროექტები,რომლის თემატიკაც ძირითდად განისაზღრება ეროვნული სასწალო გეგმის პრიორიტეტული თემების და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3 წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადიდან ჩანს, რომ კურიკულუმი შემუშავების პროცესშია და პროცესი მიმდინარეობს იმ თანამშრომლების ჩართულობით, რომლებთანაც მისი შემუშავების ეტაპზე სკოლას აქვს შრომითი ურთიერთობა. გააჟღერეს, რომ მიმდინარეობს შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პროცესი და უკვე მიმდინარე თვიდან მათი ჩართულობით უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმის განვითარება და ჩამოყალიბდება დასრულებული სახით. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის თვთშეფასების განაცხადის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტის თანახმად, სკოლა კურიკულუმს მოიაზრებს, როგორც საჯარო დოკუმენტს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოხდება უკუკავშირის და რეკომენდაციების გაზიარება კათედრის წარმომადგენლების მიერ. კურიკულუმის საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ კი მოხდება მისი გაზიარება სკოლის ვებ გვერდზე. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების მექანიზმები, რაც სასკოლო საზოგადოების მხრიდან მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებისკენაა მიმართული. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შევსებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურზე,
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები სასწავლო შინაარსთან ერთად,მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინტერესის , შესაძლებლობის და წინარე ცოდნის გათვალისწინებას. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტსა და სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღწერილია, ვის რა როლი აქვს საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად, ხოლო ყველა მომდევნო წლისათვის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას, გაითვალისწინონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის ენის კურიკულუმები, შედგენილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად ასახულია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები. კურიკულუმი დაგეგმილია იმ სახით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეებში შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, საკომუნიკაციო უნარების განვითარება, თვითრეგულაციური ციკლის განვითარება, ღირებულებების ჩამოყალიბება და ავტონომიურობა. საბაზო საფეხურზე სასურველია ყველა თემაში მუშავდებოდეს სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე

ცნება.მეცხრე კლასში კურიკულუმით განსაზღვრული კომპექსური დავალებების რაოდენობა გადასახედია, საათობრივი ბადით მასწავლებელის გაუჭირდება ამ რაოდენობის კომპექსური დავალების განხორციელება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ შემუშავებულ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, აღწერილია იკლუზიური განათლების პრინციპები,რაც მოიაზრებს დიფერენცირებულ მიდგომას როგორც სასწავლო პროცესში, ისე შეფასებისას. სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდაჭერის მექანიზმებს, როგორც მდგომარეობის პირველადი მართვის, ისე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურებს და მონიტორინგის მექანიზმებს. სასკოლო კურიკულუმით ასევე განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის საწრეო და საკლუბო მუშაობის ფუნქციონირება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდნარე. ხოლო, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების პირობა იძლევა საშუალებას მოსწავლემ გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება სხვადასხვა საშუალებით და შეიქმნას მრავალფეროვანი პროდუქტი (მაგ.ბლოგ პოსტი, წერილი,პრეზენტაცია). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (საბაზო საფეხურის კურიკულუმი, შეფასების რუბრიკები) ჩანს, რომ შეფასების პროცესში ორიენტირია რძელვადიანი მიზნები. შეფასება მიზნად ისახავს, მოსწავლეს აჩვენოს, როგორ გაიუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი. როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება მიზნად ისახავს, აღწეროს მოსწავლის განვითარების დინამიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით.თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, შეფასების რუბრიკები დაზუსტდება კონკრეტულ თემებთან/საკითხებთან, ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში. სასწავლო წლის განმავლობაში შეივსება ყველა შემაჯამებელთან და კომპლექსურ დავალებასთან, საკლასო და საშინაო დავალებათან დაკავშრებული შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5 თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მოხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება.ამ მიზნით, გამოყენებული იქნება მასწავლებლების და მოსწავლეების პირადი პორტფოლიოს ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების/დავალებების შეფასება და ანალიზი. მიმდინარე პროცესში, სკოლა ეყრდნობა მასწავლებელთა სხვა სკოლებში მუშაობის გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შევსებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურზე,
- შეფასების რუბრიკები,
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტებით სწავლების ხედვა და გეგმა. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლოს სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას აქვს წარმოდგენილი გრძელვადიანი ხედვა სადაც აღნიშნულია, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, ამის რეალიზებისთვის სკოლა კომპლექსური ტიპის დავალებებს განიხილავს , სადაც საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური, საინტერესო შინაარსის კონტექსტის მქონე დავალებები მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება/გახსენებაზე, ახალი მასალის წინარე ცოდნაზე დაფუძნებასა და შემდეგ ძველი და

ახალი ცოდნის გაერთიანება/გამთლიანებაზე იქნება ორიენტირებული. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ რომ საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სწავლების მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა წარმოდგენილი სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიციასა და სწავლის უნარების განვითარებაში. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები არის აგებული იმგვარად, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულ იქნას ცოდნათა სამ კატეგორიაზე მუშაობის მიდგომები, რათა მოხდეს მოსწავლეებში ცოდნათა იმ ფორმით ტრანსფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომ პერიოდში ცოდნის მიზნობრივი გამოყენების უნარების განვითარებას, რაც თავის მხრივ იქნება იმის მთავარი პირობა, რომ მოხდეს ფაქტრობრივი და პროცედურული ცოდნებთან მიმართებით, მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტში გადატანა, რაც თავისთავად ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესრულებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების კარგი პირობაა. საგნების მიხედვით მოწოდებული, კომპლექსური დავალებები, პროექტული დავალებები არის იმ ფაქტებზე ყურადღება გამახვილებული, რომ მოხდეს მოსწავლეთა პასუხებში ცოდნათა სამი კატეგორიის წარმოჩენა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.ცოდნათა ორგანიზებისათვის და ურთიერთდაკავშირებისათვის სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმში კარგად იკვეთება. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის წარმოდგენილი და მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას. ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება სკოლის მიერ ამოიკითხება, კომპლექსურ დავალოებაში საგნების მიხედვით, სადაც მოსწავლემ უნდა შექმნას დავალების პირობის შესაბამისი პროცესების ამღწერი სქემა, სადაც გამოყენებული იქნება გავლილი მასალა და მათი ურთიერთ მიმართების შედეგად შეიქმნება პროდუქტი, რომლის პრეზენტაციის შემნდეგ უნდა ისაუბროს მოსწავლემ საგნობრივი საკითხების ფარგლებში, წინარე ცოდნის გააქტიურების კვალდაკვალ მოახდინოს სასურველი ინფორმაციის დალაგება, დაორგანიზება და შესაბამისი ფორმით წარმოდგენა, რომელიც გაადვილებს ამოხსნის გზებს. ამ მიმდინარე პროცესებში გამოყენებული იქნება ცოდნათა სამი კატეგორია. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი

- საგნობრივი კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და დაწესებულების თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. სკოლას აქვს მზაობა ,რომ კურიკულუმის პროექტი გაუმჯობესდება სკოლაში აყვანილი მასწავლებლების ჩართულობით და მიიღებს დასრულებულ სახეს. ამასთან, ყოველწლიურად გადამუშავებით უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმის თანმიმდევრული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს შექმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის იგეგმება და განხორციელდება სასკოლო აქტივობები. თითოეული მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია თანასწორუფლებიანობა და გარემო ურთიერთობები, რომელიც გულისხმობს თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერებისა და პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას, რომელიც მოსწავლეს ჩამოუყალიბებს

სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტის, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები.თემატური ერთეულის ფარგლებში იგეგმება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის სისტემატური გამოყენება. განმავითარებელ შეფასებას ექვემდებარება როგორც მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგი (ინსტრუმენტი-განმავითარებელი კომენტარი), ასევე სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტი შეფასება სხვადასხვა ინსტრუმენტებით, კერძოდ: შუქნიშნის ფერები და ხელის ნიშნები, შეკითხვების გამოყენება სწავლისა და ათვისების შესამოწმებლად, შეჯამება, პოსტერები, გრაფიკული ორგანიზატორები, პერსონაჟის რუკა, ქვიზები, ტესტები და სხვა.. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. ეს კი ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სკოლა ორიენტირებულია, შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ასეთ პრინციპებს დაეფუძნა კურიკულუმის შემმუშავებელი ჯგუფი. საკითხი კიდევ იქნება განხილული მასწავლებლების მონაწილეობით, გამოყენებული იქნება მათი უკუგება, რის შემდეგაც დამტკიცდება კურიკულუმი. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი,რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, სადაც გაწერილია,რომ სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: 1.შემაჯამებელი დავალების და სკოლაში ჩატარებული ყველა ტიპის გამოცდისთვის შედგენილი ინსტრუმენტის, სკოლაში შექმნილი და/ან ადაპტირებული კომპლექსური დავალებების პირობების ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია.
2.შემაჯამებელი დავალებების/გამოცდების ჩატარების /მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესის ვერიფიკაცია.3. შემაჯამებელი დავალებების, სკოლაში გამართული გამოცდების, კომპლექსური დავალებების შედეგების/მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მოსწავლეთა სემესტრული და წლიური ქულების ვერიფიკაცია.შემუშავებულია ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები და შეფასება შესაბამისი და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.შეფასება მთლიანად სკოლის პასუხისმგებლობაა, შესაბამისად სკოლა უზურნველყოფს, რომ პროცესი იყოს ზუსტად დაგეგმილი და სამართლიანად განხორციელებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლაში უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული

მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- კურიკულუმის ჩარჩო
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი;
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გამოხატულია მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერაში. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმიდან, სასწავლო პროცესის მარეგულიერებელი დოკუმენტიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, სკოლის მიერ ფუნქციონირების დაწყებიდან, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს მიეცემა საშუალება გამოიჩინოს ინიციატივები, მოსწავლეებს და მშობლებს ექნებათ შესაძლებლობა განახორციელონ უკუკავშირი, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას მიაქცევს სხვადასხვა კლუბურ საქმიანობას და განსაკუთრებით სსიმ მოსწავლეებს და მათ ინტეგრირებას სასკოლო საზოგადოებაში, რასთან დაკავშირებითაც დეტალურად არის გაწერილი შესაბამისი პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა მოსწავლე. სკოლის მიერ წარმოდგენილია განსახორციელებელი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებშიც მოცემული კომპლექსური დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. სასწავლო პროცესში ასევე გამოყენებული იქნება დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა სექტემბრიდან იწყებს ფუნქციონირებას, შესაბამისად რაიმე ტიპის გამოცდიელბა ამ კუთხით არ არსეობს. სკოლის მიერ მოწოდებულ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ვკითხულობთ შემდეგს: “სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის განვითარებაზე ზრუნვა იქნება უწყვეტი პროცესი, რომელშიც ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება თავისი კომპეტენციებიდან გამომდინარე,

კერძოდ: სასწავლო პროცესში ჩართული ყველა მასწავლებელი:
აღწერს და კოლეგებს გაუზიარებს ინფორმაციას დაგეგმილ და განხორციელებულ სასწავლო პროცესის მიღწევებთან და გამოწვევებთან დაკავშირებით;
მონაწილეობას მიიღებს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში;
მუშაობის პროცესში გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც კათედრის და/ან მენეჯერთა საბჭოს მიერ იქნება შემუშავებული.
კათედრის თავმჯდომარე:
შეათანხმებს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ მასწავლებლებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების და სასწავლო პროცესის შესახებ;
შეაგროვებს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს და ფასილიტაციას გაუწევს კათედრის სხდომებზე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემების შესწავლას, გაანალიზებასა და გადაჭრი მექანიზმების შემუშავებას, ინოვაციების დანერგვას და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მომზადებას,
დათქმულ ვადებში მენჯერთა საბჭოს მიაწოდებს მომზადებულ მასალებს, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების და მასწავლებლების მიღწევები და არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას;
მონაწილეობას მიიღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. იქნება შუამავალი მენეჯერთა საბჭოსა და მასწავლებლებს შორის.გაამთლიანებს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ მასალებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;
უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სადაც განიხილავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად, ინოვაციების დასანერგად;
ხელს შეუწყობს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას;
უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას;
უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას;
ფასილიტაციას გაუწევს სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და მათი შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განვითარებას “.ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას დაეფუძნება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებელთან გასაუბრებით იკვეთება, რომ ყურადღება ექცევა მოსწავლეებისთვის უსაფრთხო, პოზიტური სასკოლო კლიმატის შექმნას, რასაც უზრუნველყოფს დიფერენცირებულ მიდგომას სწავლის პროცესისადმი, მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები, სკოლის ინფრასტრუქტრა- ლაბორატორიული კაბინეტი საბუნებისმეტყველო საგნებში, ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის, სპორტული გარე და შიდა სივრცეები- ეს ის არასრული ჩამონათვალია რაც სექტემბრიდან დახვდებათ მოსწავლეებს აღნიშნულ სკოლაში და ხელს შეუწყობს პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას როგორც კლასის ასევე სკოლის დონეზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

- საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის ჩარჩო
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მონიტორინგი და შეფასება მომავალი სასწავლო წლიდან განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სადაც კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც ციკლური პროცესი, რომელიც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია და მონიტორინგი და შეფასება კი სასწავლო პროცესის ეფექტიანობის განმსაზღვრელი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია და განწყობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ინდიკატორი შეფასდეს დადებითად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სკოლაში წარმოჩენილი პრობლემის გადაჭრასა და გამომწვევებთან გამკლავებას. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია და განწყობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ინდიკატორი შეფასდეს დადებითად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზადაა იმისთვის, რომ შეფასება (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) დაეფუძნოს მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ასევე შეფასებები, ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით, წარმოდგენილია საფეხურეობრივ კურიკულუმებში.
2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზადაა იმისთვის, რომ შეფასება (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) დაეფუძნოს სხვადასხვა კონტექსტს, სავალდებული თუ სარეკომენდაციო თემატიკას. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სასწავლო პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმის განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. შეფასების დროს დადასტურდა სკოლის პერსონალის მზაობა იმისათვის, რომ შეფასებისას გამოყენებულ იქნეს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ციკლს: დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე და მოიცავს სკოლის სერვისების და რესურსების უწყვეტ შეფასებას. დოკუმენტი აღწერს სკოლის კურიკულუმის დაგეგმვის, განხილვა/გაზიარების, კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების, დანერგვის პროცესის, მასწავლებლის მიერ წარმართულ გაკვეთილზე დაკვირვების, მასწავლებლის თვითშეფასების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული განვითარების დაგეგმვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობების განხორციელების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მონიტორინგის, გამოყენებული სასწავლო რესურსების,

დიაგნოსტიკური წერების და სხვა აქტივობების შესრულების ვადებს და შეფასების კრიტერიუმებს (დანართი N1 მონიტორინგი და შფასება)აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დოკუმენტის შესაბამისად სასწავლო პროცესში დაკვირვება ხდება ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით,გათვალისწინებულია დიაგნოსტირება და პრაქტიკის კვლევა.სასკოლო საზოგადოებამ დაადასტურა მზაობა იმისა, რომ შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- დანართი „მონიტორინგი და შეფასება“
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის რევიზია. როგორც თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ახორციელებენ საგნობრივი კურიკულუმების ანალიზს.სკოლის განვათარების გეგმაში ასახულია და ინტერვიუს დროსაც გაირკვა, რომ სკოლა მზადაა ,,კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის" შემუშავებისათვის. ამ მიზნით მასწავლებლების მიერ ხდება კათედრებზე შეკრება და გამოცდილებისა და მიგნებების გაზიარება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეგების თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი და მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ საკუთარ , ისე კოლეგათა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. მასწავლებელი ინტერვიუს დროს გვიამბობს,რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. აღნიშნულის საფუძელზე შეიქმნება გადამუშავებული კურიკულუმი, რომლებიც გამოიყენება მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები"

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლას აქვს კურიკლუმის შემუშავების მეთოდოლოგია. თვითეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავდა ადმინისტრაციის მიერ, საფუძვლად დაედო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სკოლის მისია, სწავლა/სწავლების პროცესის მოსწავლეზე ორიენტირება და ზრუნვა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული პროცედურები . სკოლას,ასევე აქვს მზაობა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა, მათი შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, რათა უზრუნველყოს მათი ჩრთულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად,სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები სრულყოფილად ასახული არ არის, რადგან სკოლა ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებს. თუმცა, სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ასახული თემები და აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლაში განსაზღვრულია სასკოლო კლუბებისა და წრეების მუშაობა.აქტიურად იგეგმება და განხორციელდება სასკოლო პროექტები,რომლის თემატიკაც ძირითდად განისაზღრება ეროვნული სასწალო გეგმის პრიორიტეტული თემების და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით. . **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3 წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადიდან ჩანს, რომ კურიკულუმი შემუშავების პროცესშია და პროცესი მიმდინარეობს იმ თანამშრომლების ჩართულობით, რომლებთანაც მისი შემუშავების ეტაპზე სკოლას აქვს შრომითი ურთიერთობა. გააჟღერეს, რომ მიმდინარეობს შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პროცესი და უკვე მიმდინარე თვიდან მათი ჩართულობით უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმის განვითარება და ჩამოყალიბდება დასრულებული სახით. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის თვთშეფასების განაცხადის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტის თანახმად, სკოლა კურიკულუმს მოიაზრებს, როგორც საჯარო დოკუმენტს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოხდება უკუკავშირის და რეკომენდაციების გაზიარება კათედრის წარმომადგენლების მიერ. კურიკულუმის საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ კი მოხდება მისი გაზიარება სკოლის ვებ გვერდზე. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების მექანიზმები, რაც სასკოლო საზოგადოების მხრიდან მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებისკენაა მიმართული. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურზე,
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი.

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები სასწავლო შინაარსთან ერთად,მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინტერესის , შესაძლებლობის და წინარე ცოდნის გათვალისწინებას. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტსა და სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში აღწერილია, ვის რა როლი აქვს საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი წარმართონ მოსწავლეზე ორიენტირებულად, ხოლო ყველა მომდევნო წლისათვის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას, გაითვალისწინონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ინტერესები და საჭიროებები. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. წარმოდგენილი საშუალო საფეხურის ენის კურიკულუმები, შედგენილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად ასახულია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები. კურიკულუმი დაგეგმილია იმ სახით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეებში შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, საკომუნიკაციო უნარების განვითარება, თვითრეგულაციური ციკლის განვითარება, ღირებულებების ჩამოყალიბება და ავტონომიურობა. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლის მიერ შემუშავებულ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, აღწერილია იკლუზიური განათლების პრინციპები,რაც მოიაზრებს დიფერენცირებულ მიდგომას როგორც სასწავლო პროცესში, ისე შეფასებისას. სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდაჭერის მექანიზმებს, როგორც მდგომარეობის პირველადი მართვის, ისე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურებს და მონიტორინგის მექანიზმებს. სასკოლო კურიკულუმით ასევე განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის საწრეო და საკლუბო მუშაობის ფუნქციონირება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდნარე. ხოლო, წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების პირობა იძლევა საშუალებას მოსწავლემ გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება სხვადასხვა საშუალებით და შეიქმნას მრავალფეროვანი პროდუქტი (მაგ.სტატია,პრეზენტაცია,თხზულება,ესე).**შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (საშუალო საფეხურის კურიკულუმი, შეფასების რუბრიკები) ჩანს, რომ შეფასების პროცესში ორიენტირია რძელვადიანი მიზნები. შეფასება მიზნად ისახავს, მოსწავლეს აჩვენოს, როგორ გაიუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი. როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება მიზნად ისახავს, აღწეროს მოსწავლის განვითარების დინამიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით.თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, შეფასების რუბრიკები დაზუსტდება კონკრეტულ თემებთან/საკითხებთან, ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში. სასწავლო წლის განმავლობაში შეივსება ყველა შემაჯამებელთან და კომპლექსურ დავალებასთან, საკლასო და საშინაო დავალებათან დაკავშრებული შეფასების რუბრიკები. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5 თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მოხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება.ამ მიზნით, გამოყენებული იქნება მასწავლებლების და მოსწავლეების პირადი პორტფოლიოს ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების/დავალებების შეფასება და ანალიზი. მიმდინარე პროცესში, სკოლა ეყრდნობა მასწავლებელთა სხვა სკოლებში მუშაობის გამოცდილებას. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები,
- შეფასების რუბრიკები,

- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 . სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას

წარმოდგენილი აქვს პროექტებით სწავლების ხედვა და გეგმა. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სასკოლოს სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას აქვს წარმოდგენილი გრძელვადიანი ხედვა სადაც აღნიშნულია, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, ამის რეალიზებისთვის სკოლა კომპლექსური ტიპის დავალებებს განიხილავს , სადაც საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური, საინტერესო შინაარსის კონტექსტის მქონე დავალებები მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება/გახსენებაზე, ახალი მასალის წინარე ცოდნაზე დაფუძნებასა და შემდეგ ძველი და ახალი ცოდნის გაერთიანება/გამთლიანებაზე იქნება ორიენტირებული. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ საშუალო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციედება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სწავლების მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა წარმოდგენილი სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიციასა და სწავლის უნარების განვითარებაში. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.მოწოდებული საშუალო საფეხურის მე-10 და მე-12 კლასის კურიკულუმები არის აგებული იმგვარად, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულ იქნას ცოდნათა სამ კატეგორიაზე მუშაობის პრინციპრბი, რათა მოხდეს მოსწავლეებში ცოდნათა იმ ფორმით ტრანსფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომ პერიოდში ცოდნის მიზნობრივი გამოყენების უნარების განვითარებას, რაც თავის მხრივ იქნება იმის მთავარი პირობა, რომ მოხდეს ფაქტრობრივი და პროცედურული ცოდნებთან მიმართებით, მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტში გადატანა, რაც თავისთავად ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესრულებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების კარგი პირობაა. საგნების მიხედვით მოწოდებული, კომპლექსური დავალებები, პროექტული დავალებები არის იმ ფაქტებზე ყურადღება გამახვილებული, რომ მოხდეს მოსწავლეთა პასუხებში ცოდნათა სამი კატეგორიის წარმოჩენა, ასევე გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ ტესტური დავალების, ესეს და სხვა სახის პროდუქტის შემუშავების დროს ყურადღება გამახვილდება: დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.საშუალო საფეხურის მე-10 და მე-12 კლასის კურიკულუმები, არის ის პირველადი დოკუმენტი რომელიც აჩვენებს მომავალი სასწავლო წლის ფარგლებში როგორ იმუშავებს სკოლა იმისათვის რომ მოსწავლეებში განავითარონ ცოდნათა ორგანიზების უნარები, ამისათვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის პროექტები, კომპლექსური დავალებები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზების

ხელშესაწყობად თავად ამოიცნოს ტექსტში, მთავარი, არამთავარი ინფორმაცია დაალაგოს ის პროირიტეტების მიხედვით სადაც ყურადღება მიექცევა საგნობრივ საკითხებზე დაფუძნებით აიგოს ახალი იდეები, ამ პროცესებში უნდა გააქტიურდეს ცოდნათა შორის ურთიერთმიმართების დანახვა და ახალ იდეაში ფორმირება. სკოლას აქვს მზაობა ამ მიმართულებით განვითარდეს ამის დამადასტურებლად ინტერვიუს დროსსაც გამოითქვა არაერთი საინტერესო მოსაზრება, მაგალითად გამოყენებული იქნება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სადაც მოსწავლე თავად იკვლევს და იძიებს ახალ იდეებს თავად აკეთებს ცოდნათა შორის ურთიერთდამაკავშირებელი ხიდების გადებას, ააქტიურებს წინარე ცოდნას, ახდენს საგნებს შორის კავშირების დანახვას ტრანსფერით, მიდის ცოდნის გამოყენების პროცესებისკენ, რაც სამომავლოდ დასჭირდება. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- საგნობრივი კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და დაწესებულების თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. სკოლას აქვს მზაობა ,რომ კურიკულუმის პროექტი გაუმჯობესდება სკოლაში აყვანილი მასწავლებლების

ჩართულობით და მიიღებს დასრულებულ სახეს. ამასთან, ყოველწლიურად გადამუშავებით უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმის თანმიმდევრული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს შექმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის იგეგმება და განხორციელდება სასკოლო აქტივობები. თითოეული მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია თანასწორუფლებიანობა და გარემო ურთიერთობები, რომელიც გულისხმობს თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერებისა და პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას, რომელიც მოსწავლეს ჩამოუყალიბებს სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტის, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები.თემატური ერთეულის ფარგლებში იგეგმება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის სისტემატური გამოყენება. განმავითარებელ შეფასებას ექვემდებარება როგორც მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგი (ინსტრუმენტი-განმავითარებელი კომენტარი), ასევე სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტი შეფასება სხვადასხვა ინსტრუმენტებით, კერძოდ: შუქნიშნის ფერები და ხელის ნიშნები, შეკითხვების გამოყენება სწავლისა და ათვისების შესამოწმებლად, შეჯამება, პოსტერები, გრაფიკული ორგანიზატორები, პერსონაჟის რუკა, ქვიზები, ტესტები და სხვა.. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. ეს კი ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სკოლა ორიენტირებულია, შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ასეთ პრინციპებს დაეფუძნა კურიკულუმის შემმუშავებელი ჯგუფი. საკითხი კიდევ იქნება განხილული მასწავლებლების მონაწილეობით, გამოყენებული იქნება მათი უკუგება, რის შემდეგაც დამტკიცდება კურიკულუმი. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი,რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, სადაც გაწერილია,რომ სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: 1.შემაჯამებელი დავალების და სკოლაში ჩატარებული ყველა ტიპის გამოცდისთვის შედგენილი

ინსტრუმენტის, სკოლაში შექმნილი და/ან ადაპტირებული კომპლექსური დავალებების პირობების ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია.
2.შემაჯამებელი დავალებების/გამოცდების ჩატარების /მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესის ვერიფიკაცია.3. შემაჯამებელი დავალებების, სკოლაში გამართული გამოცდების, კომპლექსური დავალებების შედეგების/მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მოსწავლეთა სემესტრული და წლიური ქულების ვერიფიკაცია.შემუშავებულია ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები და შეფასება შესაბამისი და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.შეფასება მთლიანად სკოლის პასუხისმგებლობაა, შესაბამისად სკოლა უზურნველყოფს, რომ პროცესი იყოს ზუსტად დაგეგმილი და სამართლიანად განხორციელებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6.შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლაში უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- კურიკულუმის ჩარჩო
- თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი;
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გამოხატულია მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერაში. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმიდან, სასწავლო პროცესის მარეგულიერებელი დოკუმენტიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, სკოლის მიერ ფუნქციონირების დაწყებიდან, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს მიეცემა საშუალება გამოიჩინოს ინიციატივები,

მოსწავლეებს და მშობლებს ექნებათ შესაძლებლობა განახორციელონ უკუკავშირი, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას მიაქცევს სხვადასხვა კლუბურ საქმიანობას და განსაკუთრებით სსიმ მოსწავლეებს და მათ ინტეგრირებას სასკოლო საზოგადოებაში, რასთან დაკავშირებითაც დეტალურად არის გაწერილი შესაბამისი პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა მოსწავლე. სკოლის მიერ წარმოდგენილია განსახორციელებელი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებშიც მოცემული კომპლქსური დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. სასწავლო პროცესში ასევე გამოყენებული იქნება დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა სექტემბრიდან იწყებს ფუნქციონირებას, შესაბამისად რაიმე ტიპის გამოცდიელბა ამ კუთხით არ არსეობს. სკოლის მიერ მოწოდებულ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ვკითხულობთ შემდეგს: "სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის განვითარებაზე ზრუნვა იქნება უწყვეტი პროცესი, რომელშიც ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება თავისი კომპეტენციებიდან გამომდინარე, კერძოდ: სასწავლო პროცესში ჩართული ყველა მასწავლებელი:

აღწერს და კოლეგებს გაუზიარებს ინფორმაციას დაგეგმილ და განხორციელებულ სასწავლო პროცესის მიღწევებთან და გამოწვევებთან დაკავშირებით;

მონაწილეობას მიიღებს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში;

მუშაობის პროცესში გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც კათედრის და/ან მენეჯერთა საბჭოს მიერ იქნება შემუშავებული.

კათედრის თავმჯდომარე:

შეათანხმებს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ მასწავლებლებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების და სასწავლო პროცესის შესახებ;

შეაგროვებს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს და ფასილიტაციას გაუწევს კათედრის სხდომებზე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემების შესწავლას, გაანალიზებასა და გადაჭრი მექანიზმების შემუშავებას, ინოვაციების დანერგვას და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მომზადებას,

დათქმულ ვადებაში მენჯერთა საბჭოს მიაწოდებს მომზადებულ მასალებს, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების და მასწავლებლების მიღწევები და არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას;

მონაწილეობას მიიღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. იქნება შუამავალი მენეჯერთა საბჭოსა და მასწავლებლებს შორის.გაამთლიანებს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ მასალებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სადაც განიხილავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად, ინოვაციების დასანერგად;

ხელს შეუწყობს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას;

უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას;

უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას;

ფასილიტაციას გაუწევს სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და მათი შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განვითარებას ".ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას დაეფუძნება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებელთან გასაუბრებით იკვეთება, რომ ყურადღება ექცევა მოსწავლეებისთვის უსაფრთხო, პოზიტური სასკოლო კლიმატის შექმნას, რასაც უზრუნველყოფს დიფერენცირებულ მიდგომას სწავლის პროცესისადმი, მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები, სკოლის ინფრასტრუქტრა- ლაბორატორიული კაბინეტი საბუნებისმეტყველო საგნებში, ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის, სპორტული გარე და შიდა სივრცეები- ეს ის არასრული ჩამონათვალია რაც სექტემბრიდან დახვდებათ მოსწავლეებს აღნიშნულ სკოლაში და ხელს შეუწყობს პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას როგორც კლასის ასევე სკოლის დონეზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის ჩარჩო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მონიტორინგი და შეფასება მომავალი სასწავლო წლიდან განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სადაც კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც ციკლური პროცესი, რომელიც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია და მონიტორინგი და შეფასება კი სასწავლო პროცესის ეფექტიანობის განმსაზღვრელი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია და განწყობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ინდიკატორი შეფასდეს დადებითად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სკოლაში წარმოჩენილი პრობლემის გადაჭრასა და გამომწვევებთან გამკლავებას. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია და განწყობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ინდიკატორი შეფასდეს დადებითად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზადაა იმისთვის, რომ შეფასება (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) დაეფუძნოს მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ასევე შეფასებები, ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით, წარმოდგენილია საფეხურეობრივ კურიკულუმებში.
2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზადაა იმისთვის, რომ შეფასება (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) დაეფუძნოს სხვადასხვა კონტექსტს, სავალდებული თუ სარეკომენდაციო თემატიკას.

როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სასწავლო პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მომავალ წელს მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმის განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების დროს დადასტურდა სკოლის პერსონალის მზაობა იმისათვის, რომ შეფასებისას გამოყენებულ იქნეს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები". ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ციკლს: დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე და მოიცავს სკოლის სერვისების და რესურსების უწყვეტ შეფასებას. დოკუმენტი აღწერს სკოლის კურიკულუმის დაგეგმვის, განხილვა/გაზიარების, კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების, დანერგვის პროცესის, მასწავლებლის მიერ წარმართულ გაკვეთილზე დაკვირვების, მასწავლებლის თვითშეფასების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული განვითარების დაგეგმვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობების განხორციელების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მონიტორინგის, გამოყენებული სასწავლო რესურსების, დიაგნოსტიკური წერების და სხვა აქტივობების შესრულების ვადებს და შეფასების კრიტერიუმებს (დანართი N1 მონიტორინგი და შფასება)აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" დოკუმენტის შესაბამისად სასწავლო პროცესში დაკვირვება ხდება ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით,გათვალისწინებულია დიაგნოსტირება და პრაქტიკის კვლევა.სასკოლო საზოგადოებამ დაადასტურა მზაობა იმისა, რომ შეფასება გახორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები"
დანართი „მონიტორინგი და შეფასება"
სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში არის კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. სკოლას აქვს სწორი ხედვა და გააზრებული აქვს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარებაზე მუშაობა. რომ საჭიროა კურიკულუმის რევიზია. ამ მიზნით, მათთან, როგორც ინტერვიუდან ირკვევა და თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, მასწავლებლების მიერ ხდება კათედრებზე შეკრება და გამოცდილებისა და მიგნებების ურთიერთგაზიარება, რომ არსებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადეობის მიერ. რომლის საფუძელზეც, სკოლა გეგმავს რომ შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას, კოლეგებმა დააფიქსირეს მზაობა ამ პროცესისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს,რომ კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა არის ციკლური პროცესი. მასზე მასწავლებლების მიერ მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც თავად მათ მიერ კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულს , ისე სხვა კოლეგების მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის, რომ ზოგჯერ საჭირო ხდება კურიკულუმის ნაწილის შეცვლა, ზოგჯერ აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისათვის ამატებენ ან სულაც ცვლიან რესურსებს. შორის. აღნიშნულის საფუძელზე შეიქმნება გადამუშავებული კურიკულუმი, რომლებიც გამოიყენება მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლისათვ. საშუალო საფეხურის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. კოლეგებმა დააფიქსირეს მზაობა ამ პროცესისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ფოტო მასალა ავტორიზაციის პერიოდში სკოლის შენობაში არსებული მდგომარეობის შესახებ

თარიღი 1/09/2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: